პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 14 ნოემბერი № 269 (16699) ფასი 2 კაპ. 1976

ჩვენი საბრძოლო ამოცანა

დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყველა პირობაა, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე ყოველწლიურად გაშენდეს 2.500-3.000 ჰექტარი ახალი ვენახები. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ 1985 წლისათვის ამ ზონაში დამატებით მივიღოთ სულ ცოტა 60 ათასი ტონა ყურძენი.

შეიძლება მევენახეობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში გადაიქცეს ისეთივე განვითარებულ დარგად, როგორიც არის მეჩაიეობა და მეციტრუსეობა.

ამხანაგი პროპაგანდისტი

მოსკოვის ტელევიზორის ქარხანაში ორ საათ-ნახევარს გრძელდებოდა სემინარის მეცადინეობა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს გაიმართა. სემინარს ხელმძღვანელობს ალექსანდრე მათეს-ძე ვასილიევი. სემინარის მონაწილეებს არც კი შეუმჩნევიათ, დრო როგორ გავიდა, იმდენად ცოცხალი და საინტერესო საუბარი გაჩაღდა. საუბარი ეხებოდა დღევანდელობის მეტად მნიშვნელოვან თემას: როგორ ხორციელდება პრაქტიკულად სკკპ XXV ყრილობის დებულებანი და დასკვნები, ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მთელი ქვეყნისა და მშობლიური კოლექტივის ყოველდღიური საქმეებში. მეცადინეობის წარმატება ბევრად განაპირობა კარგად მოფიქრებულმა გეგმამ, მეთოდიკამ, ფაქტიური მასალის შერჩევამ.

პროპაგანდისტი... ეს დავალება უკვე ბევრი წელია ინჟინერ-ტექნოლოგის ა. მ. ვასილიევის, ასაოთასობით სხვა კომუნისტის თითქოსდა მეორე თანამდებობა გახდა. ეს დავალება ადვილი როდია: იგი გულისხმობს წიგნებზე მუშაობას, კონსპექტებისა და ამონაწერების შედგენას, იმ დამაჯერებელი მოსაზრებების გამონახვას, რომლებიც ადამიანებს ეხმარებიან საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ანალიზისა და შეფასების მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დაუფლებაში. სამაგიეროდ რა სასიხარულოა, როცა ხედავ, რომ ცოდნა, რომელსაც სხვებს უზიარებ, მათი მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილი ხდება, აყალიბებს მათს აქტიურ პოზიციას ცხოვრებაში, როცა ადამიანი მთელ თავის ნიჭსა და უნარს, ფიზიკურ და სულიერ ძალებს ახმარს თავის საქმეს.

დიდად პასუხსაგებია იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა მიზანი. მას უფრო დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ ამოცანათა შესაბამისად, რომლებიც დასახეს პარტიის XXV ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა. „ყრილობის იდეები გაიაზონ თვითეულ კომუნისტს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ასეთია არა მარტო პროპაგანდისტთა, ლექტორთა, მომხსენებელთა, არამედ ყველა ჩვენი პარტიული აქტივისტის საპატიო მოვალეობა. ამ მუშაობაში უნდა ვიქნოდეთ მთელ ჩვენს ცოდნას, დარწმუნების უნარს, მთელ სულსა და გულს. ყოველივე ეს არის ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების ერთ-ერთი წანამძღვარი“.

ასეთი საპატიო ამოცანა წარმატებით რომ შეასრულოს, პროპაგანდისტს უნდა ჰქონდეს მარქსისტულ-ლენინური მომზადების მაღალი დონე, პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის ღრმა ცოდნა, მეთოდიკური ოსტატობა, იგი ყოველმხრივ ინფორმირებული და კომპეტენტური უნდა იყოს იმ საკითხებში, რომლებსაც ცხოვრება წამოჭრის. გამოცდილება გვაწარმუნებს: საუკეთესო შედეგებს აღწევენ სემინარებისა და სკოლების ის ხელმძღვანელები, რომლებიც შემოქმედებითად უდგებიან საქმეს, თამამად იყენებენ სწავლების აქტიურ ფორმებს. პრაქტიკული დავალებანი, რეფერატების განხილვა, კონკრეტული სიტუაციათა ერთად გაანალიზება — ყოველივე ეს აძლიერებს მსმენელთა ინტერესს, აჩვევს მათ წყაროებზე დამოუკიდებელ მუშაობას, აძლიერებს მათს შრომითსა და საზოგადოებრივ აქტივობას პარტიის წინასწარდასახულ მ ბ ა ო ა რეალიზაციისათვის ბრძოლაში.

დღეს ერთ-ერთი უპირველესი და პასუხსაგები საქმეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შეხუთე სესიის მასალების პროპაგანდა და განმარტება. როგორც ცნობილია, პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში ეწყობა ამ დოკუმენტებისადმი მიძღვნილი სპეციალური მეცადინეობა. თვითეული პროპაგანდისტის მოვალეობაა ყოველნაირად ეცადოს, რომ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებაზე ორგანულად უკავშირდებოდეს მსმენელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებას, ხელს უწყობდეს კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებას. შრომის ხარისხის გაუმჯობესებას, ადამიანებისათვის იმ გრძნობის ჩანერგვას, რომ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უდგებოდნენ ყველა დავალებულ საქმეს.

სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაშლილი მოძრაობა „პროპაგანდისტი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს“. მაგალითად, ზაპოროჟიეს ოლქის საწარმოებში პარტიული და ეკონომიური სწავლების სისტემის მსმენელებმა პროპაგანდისტთა დახმარებით დაასაბუთეს 60 ათასამდე პირადი გეგმა, 30 ათასამდე ეკონომიის პირადი ანგარიში, 45 ათასზე მეტი რაციონალური წინადადება. სკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელები, რომლებიც, როგორც წესი, გამოცდილი სპეციალისტები არიან, ყურადღებით ადევნებენ თვალს წამოყენებულ წინადადებათა განხორციელებას, დროულად ეხმარებიან მსმენელებს. და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქმით ეუბერდეთ მხარს ასეთ ინიციატივას, ვაძლიერებდეთ პროპაგანდისტთა აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ როლს.

ამასთან ერთად არ შეიძლება გვერდს ვუვლიდეთ მეცადინეობებზედმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტებს. ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ზოგი პროპაგანდისტი თავს აწყენს სერიოზული მომზადებით, მარტივად უდგება თემებს, არ ერიდება დეკლარატიულობას, მეტისმეტ „ორგანიზებულობას“, როცა განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ წინასწარ მომზადებული ამხანაგების ვიწრო წრე, უმრავლესობა კი პასიურ მსმენელად რჩება. არის შემთხვევები, როცა მეცადინეობა არსებითად მორიგ საწარმოო „თათბირად“ იქცევა. მედავითნეობა და უსულგულობა, ცხოვრებას მოწყვეტა და პრაქტიკიზმი — ყოველივე ეს განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა საქმე ეხება კადრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას.

პროპაგანდისტთა მუშაობის ეფექტიანობას ბევრად განსაზღვრავს ყურადღება, რომელსაც მათ უთმობენ პარტიული კომიტეტები, პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები. „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდიკური მომზადების, მათი ინფორმირების გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის. მაგრამ ზოგან სწავლებისადმი ხელმძღვანელობას ჯერაც ეკიდებიან როგორც მეორეხარისხოვან საქმეს, რომელიც არ მოითხოვს სისტემატურ მუშაობასა და კონტროლს. ხანდებით სამართლიანად გააკრიტიკეს, მაგალითად, სკკპ ტამბოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე პარტიის საქალაქო და საოლქო კომიტეტების დარგობრივი განყოფილებები იმისათვის, რომ ფაქტიურად თავიდან აიცილეს მშრომელთა ეკონომიური განათლების ორგანიზაცია.

საუკეთესო იდეოლოგიური კადრები ყველა საგულდაგულოდ უნდა შევისწავლოთ და გავავრცელოთ მუდმივმოქმედ სემინარებზე, მეთოდიკურ და ხამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე, პრესაში, ტელე და რადიოგადაცემებში. უნდა შეიქმნას ყველა პირობა, რათა პროპაგანდისტი ნაყოფიერად ასრულებდეს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. არ უნდა ვივიწყებდეთ: მუშაობა პარტიული და ეკონომიური განათლების, კომკავშირის პოლიტიკური განათლების სისტემაში, კომუნისტური შრომის სკოლებსა და ხალხური უნივერსიტეტებში უმნიშვნელოვანესი პარტიული დავალებაა. პროპაგანდისტის მართალი და მგზნებარე სიტყვა, ცოდნა, რომელსაც ისინი ადამიანებს უზიარებენ, ამკიდრებენ რევოლუციური ოპტიმიზმისა და შემოქმედებითი აღმშენებლობის სულისკვეთებას, მოუწოდებენ ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში.

განვავითაროთ მევენახეობა, გავაუმჯობესოთ ვაზის მოვლა

თათბირი ქუთაისში

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ჩვენს ზვრებში უმრავი ჯიშის — ხუთასამდე მარტო ადგილობრივი ჯიშის — ვაზი ხარობს. თეთრი და წითელი კახური ღვინოები, იმერული შუშხუნა, ბუნებრივად ტკბილი ღვინო, შამპანური, სხვადასხვა მარკის კონიაკი მრავალგზის იყო დაჯილდოებული საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ამ ბოლო დროს ამ მუშაობის მასშტაბი გაფართოდა. სუსხიანმა ზამთარმა უდიდესი ზარალი მიაყენა ვენახებს. მევენახეთა ჩვეულებრივ ისედაც მძიმე შრომას დაზიანებული და დაღუპული პლანტაციების აღდგენისათვის ზრუნვა დაემატა. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად და ზვრებიც თანდათან ძველებურად ნაყოფიერი ხდება. ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა დასავლეთ საქართველოში მევენახეობის განვითარებას და ვენახების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა ქალაქ ქუთაისში გამართული თათბირი.

თათბირზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის ამ ზონის პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გაერთიანებების, ტრესტების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. შევარდნაძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. პატიაშვილმა.**

ინფორმაციები ვენახების მდგომარეობის, დარგის განვითარების პერსპექტივების შესახებ თათბირზე გააკეთეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ხინთბამ,** პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. უნგიაძემ,** პარტიის თერჯოლის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ცაგერის რაიკომების პირველმა მდივნებმა **ა. ბურჯანაძემ, ჯ. ახმეტელმა, ა. ჩარქსელიანმა, ბ. მერკვილაძემ, თ. იმედაძემ, ი. თოდუამ, ა. შარაბიძემ, ნ. გვიშიანმა** და სხვებმა.

განსახილველ საკითხებზე თათბირის მონაწილეებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა **მ. რამიშვილმა,** მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. ჩხარტიშვილმა,** საქართველოს საცდელი სადგურის დირექტორმა **გ. გაფრინდაშვილმა,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **გ. ყიფიანმა,** სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა ტრესტის უფროსმა **ნ. ჩხოლარიამ** და სხვებმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. პატარაძემ.**

თათბირს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ მთელი ორგანიზატორული მუშაობის, მთელი მეცადინეობის მიზანი უნდა იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიის იმ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება, რომლებითაც დასახულია ხუთწლედის დიდებული ჰორიზონტები.

მსჯელობა იყო ვენახების მოსავლიანობის გადიდების, უხიკალური ჯიშების — „ალექსანდროულის“, „ოჯალეშის“, „ჩხავერის“, „ცოლიკაურის“, „ალადასტურის“, „უსახელოურისა“ და სხვა იმ ჯიშების გასაშენებლად ახალი ფართობების ათვისების შესახებ, რომლებიც გვაძლევს სახელგანთქმული მარკის ღვინოებს, მაგალითად ხვანჭკარას, ტვიშსა და სხვ.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყველა პირობაა, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე ყოველწლიურად გაშენდეს 2.500-3.000 ჰექტარი ახალი ვენახები. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ 1985 წლისათვის ამ ზონაში დამატებით მივიღოთ სულ ცოტა 60 ათასი ტონა ყურძენი.

თათბირზე დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ბევრ სოფელში ცხოვრობენ მევენახეთა ოჯახები, სადაც თაობიდან თაობაში გადადის ვაზის სიყვარული, ღვინის დაყენების „საიდუმლოება“. მევენახეობის შემდგომი განვითარება, დიდ ფართობებზე უხვი მოსავლის მოწევა მათ პატრიოტულ მოვალეობად, ღირსების საქმედ მიიჩნიათ.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უპირველესი და საპატიო ამოცანაა ამრავლონ მევენახეობის ჭეშმარიტ ოსტატთა, იმ ადამიანთა რიგები, რომლებსაც გული შესტკივათ ვაზის მოვლა-პატრონობისათვის. მხოლოდ ასეთ კადრებზე დაყრდნობით შეიძლება ყველა ამოცანის, თუნდაც ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა. შეიძლება მევენახეობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში გადაიქცეს ისეთივე განვითარებულ დარგად, როგორიც არის მეჩაიეობა და მეციტრუსეობა.

რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს მოწინავეთა გამოცდილება, დაიხვრგოს მეცნიერთა რეკომენდაციები, გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და მევენახეობა ყველა მეურნეობაში გახდეს შემოსავლიანი დარგი. ამაზე ლაპარაკი საჭიროა, რადგან, როგორც თათბირზე აღინიშნა, ბევრ მეურნეობაში უხეშად არღვევენ ვაზის მოვლის აგროტექნიკურ წესებს და ამის შედეგად მცირე მოსავალს იწევენ.

სწორედ იმის გამო, რომ დროულად არ უვლიან ვაზსა და ნიადაგს, ხარისხიანი არ არის ვენახების მკურნალობა, არის სხვა დარღვევები. ყურძნის ჰექტარობრივი მოსავალი 10-20 ცენტნერს არ აღემატება. სისტემატურად ირღვევა ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ნორმები და ვადები, დიდია პლანტაციების სიმეჩხრე.

საკმარისია ითქვას, რომ ვენახების დიდი სიმეჩხრის გამო დასავლეთ საქართველოს მეურნეობები წელიწადში 12 ათას ტონაზე მეტ ყურძენს კარგავენ. გასაკვირიც არ არის, რომ ბევრი რაიონი სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებებს. ეს და სხვა ნაკლოვანებები ზრდის ყურძნის თვითღირებულებას, და რა თქმა უნდა, უარყოფითს გავლენას ახდენს მეურნეობათა ეკონომიკაზე.

თათბირზე მძაფრად დაისვა საკითხი, რომ საჭიროა რაიონების უზრუნველყოფა ნერგით, შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით, ტექნიკით, რკინა-ბეტონის ბოძებითა და მავთულით, ყველაფრით, რაც საჭიროა ვენახებისათვის.

ითქვა, რომ საჭიროა ვენახების სწორად განლაგება რაიონებსა და მიკრორაიონებში, გარკვეული ჯიშის ვაზის ჩაყრისათვის შესაფერისი მიწის ნაკვეთების არჩევა ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით. თათბირის მონაწილეებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები ვენახების ფართობების რაც შეიძლება მეტად გადიდებისათვის. ითქვა, რომ ამ მიზნით შეიძლება გამოიყენონ სკოლების, ტექნიკუმების, სამრეწველო საწარმოების ტერიტორიები, ვაზი ჩაყარონ გზების, სარწყავი არხების გასწვრივ. ეჭვიც არ არის, რომ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ვენახების გაფართოებისა და მოვლის საუმუშაოთა მოფიქრებული ორგანიზაცია სასურველ შედეგს გამოიღებს.

მთელ მუშაობას მევენახეობის განვითარებისათვის, აღნიშნეს ორატორებმა, სათუძვლად უნდა დაედოს დავალებული საქმისათვის ადამიანთა დიდი პასუხისმგებლობა, მტკიცე დისციპლინა, შეგნებულობა.

თათბირის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომელიც მოჰყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, წარმართულია იმისათვის, რომ წარმატებით დავამთავროთ მეათე ხუთწლედის პირველი წელი, საუკეთესო მაჩვენებლებს მივაღწიოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოებს მუშაობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში მევენახეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის შემუშავებისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თათბირზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. **ე. შევარდნაძემ.**

(საქინფორმი).

პოეზიის უკვდავება

თბილისში გაიხსნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი

დრო პოეტის უკვდავების საუკეთესო მოწმეა. პატარა წიგნი — 37 ლექსი და ერთი პოემა მცირე, მაგრამ რაოდენ ძვირფასი მემკვიდრეობაა. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის ჭეშმარიტი გიგანტია. ამ გამორჩენილი პოეტის ლექსები დღეს თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და მოფლოის მრავალი ხალხის ენაზე. ბარათაშვილის მთელი სიცოცხლე ცხადყოფს, რომ თუ პოეტს ასაზრდოებს ამაღლებული, ნამდვილი გრძნობები, თუ იგი ემსახურება მოწინავე იდეებს, თუ მას აწუხებს საშობლოს ბედი, კაცობრიობის ბედი, მაშინ მისი პოეზია სცდება ქვეყნისა და დროის საზღვრებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება უკვდავია! იგი ქართველი ხალხის მდიდარ ეროვნულ ტრადიციებს, მის საუკეთესო გრძნობებსა და მისწრაფებებს ასახავს. პოეტმა კაცობრიობას გააცნო თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე და სილამაზე, მისი სახელოვანი საქმეები.

ბარათაშვილი ჩვენი თანამედროვეა. მადლიერი შთამომავლები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ სახელოვანი წინაპრის ხსოვნას. მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის, ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა პოეზიის ზეიმი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამ ზეიმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჰუმანისტური იდეების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის იდეების გამარჯვება.

...ძველი თბილისის ულამაზეს კუთხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც სიყვარულით უმღერდა პოეტი, აღიმართა „მერანის“ უკვდავი ავტორის ძეგლი.

13 ნოემბრის გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. ლობჟანიძემ.**

— ბარათაშვილის შემოქმედებაში, — აღნიშნა თავის სიტყვაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **გ. აბაშიძემ,** — მეიდროდ არის გადახლართული პირადი და საზოგადოებრივი მოტივები. მის შემოქმედებაში საშობლოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ფიქრებს უდიდესი ადგილი უჭირავს. როგორც თავისი დროის ჭეშმარიტ-შვილს, მას აღელვებდა უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებსაც თვით ცხოვრება სახავდა. მის პატრიოტულ ლირიკას და პოემა „ქართლის ბედში“ ეპოქის მოწინავე ადამიანის შეხედულებანი ასახული.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართული პოეზია რუსულ და ევროპულ პოეზიას აზიარა, ზოგადსაკაცობრიო იდეალებით გაამდიდრა და ამასთან ჭეშმარიტად ეროვნული და თავისთავადი ხელოვანი დარჩა.

ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისათვის, ახლობელი და ძვირფასია პოეტის სახე, მისი ძნელი, ხანმოკლე, მზის სხივივით ნათელი სიცოცხლე. მისი ლექსები მგზნებარე და ძლიერი შთაგონების აღმფრენნა, მახვილი გონებისა და სიბრძნის ნაყოფია, მაგრამ ამასთან ერთად აღსავსე უანგარო სიყვარულით, უფაქიზესი განცდებითა და ღიღი მისწრაფებებით.

ბარათაშვილის „მერანის“ ფრენა არ შეწყდება, სანამ პოეზია ცოცხლობს, ხოლო მისი პოემა „ქართლის ბედი“, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა — რუსეთთან საქართველოს შეერთება ასახა, დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია.

ზემოთ: ნ. ბარათაშვილის ძეგლი თბილისში.

ბ. გიგიბეიშვილის ფოტო.

დღეს, როცა გენიალური პოეტის ძეგლს ვხსნით, თითქოს გვესმის მერნის ფრთების ხმაური, გვესმის პოეტის გულისცემა.

დასასრულ გ. აბაშიძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას იმისათვის, რომ დღენიადაგ ზრუნავენ ლიტერატურის განვითარებისათვის, დიდ შეფასებას აძლევენ მწერალთა მოღვაწეობას.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი,** თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **რ. ციცაგი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ბოგომოლოვი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტი **ლ. ხაჩიძე.**

პოემა **მედეა კახიძემ** წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

მიტინგი დამთავრდა. თბილისის მშრომელებმა, ქართველმა მწერლებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი.

ქანდაკების ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მოქანდაკე **ბ. ციბაძე,** კვარცხლბეკის ავტორები — რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორები **შ. ყავლაშვილი** და **ვ. ქუთათელიშვილი.**

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე იყვნენ ამხანაგები **ბ. გელაშვილი, ა. ინაური, შ. კოკნაძე, ფ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ე. შარტავა, ხ. ხაბეიშვილი** (საქინფორმი).

* * *

ზემოთ: ნ. ბარათაშვილის ძეგლი თბილისში.

ბ. გიგიბეიშვილის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის პასუხად

ნოგათეგი სამშობლოს

სამტრედიის რაიონის მშრომელებს გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 2.000 ტონა ყურძენი. მევენახეებმა პირობა გაანაღდეს — მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.010 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსთვის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შ. ცაგარეიშვილი,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. მანჯგალაძე.**

ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. მოკრიფეს და გადასამუშავებლად ღვინის ქარხანას ჩააბარეს 1.000 ტონა ყურძენი.

დაწინაურდნენ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა, გეჯეთის, ძველი სენაკის, შახბის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ახლა ყოველდღე ყურძენს ვალდებულების ანგარიშში კრეფენ. კარგად იმუშავეს ნოქალაქევის, ხორნის, ფოცხოს სასთალო საბჭოებმა. ეკის კოლმეურნეობის წევრმა **ედიშერ კვარაცხელიამ** საკარმიდამო ნაკვეთში მოიღებული 11 ტონა ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდა, სოფელ ფოცხოს მცხოვრებმა **დავით გოგიამ** — 10,2 ტონა, **კარლო ხუბუამ** — 10 ტონა, სოფელ უშაფათის მცხოვრებმა **ჯონდო კორშიამ** 10 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსთვის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებს საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ესვანჯიამ.**

ტყიბულის მშრომელებმა დაამზადეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.120 ტონის ნაცვლად 5.160 ტონა თესლოვანი ხილი, ხოლო კურკოვანი — 1.420 ტონა, წლიური გეგმა 1.400 ტონას ითვალისწინებდა.

გადაწყვეტილია დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდოს 150 ტონა თესლოვანი ხილი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებს საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ფხაკაძემ.** საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **გ. ცნობილაძემ.**

მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში

ალმა-ათა. 13 ნოემბერი. (საკ ფილ). დღეს ალმა-ათიდან მინსკში გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია. რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი.

იმავე დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ამხანაგ ე. გერეკის მეთაურობით ალმა-ათიდან მინსკში ჩავიდა. აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაჭეროვი, სხვა ოფიციალური პირნი.

მომავალ ქვეყნის წარმომადგენლებს გულითადად მიესალმნენ ბელორუსიის დედაქალაქის მშრომელები.

მსოფლიოს აქჩქჩე

ფაქტები, პრობლემები

საკავშირო კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეროჩენილი რევოლუციონერის ხსოვნის აღსანიშნავად

ფულუკიძე, 13 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). ამ დღეებში ფულუკიძის რაიონის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერის, ალექსანდრე (საშა) გრიგოლის-ძე ფულუკიძის დაბადების 100 წლისთავს. საშა ფულუკიძემ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური მარქსიზმის იდეების გავრცელებასა და პოპულარიზაციაში, საქართველოსა და ამერიკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში.

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და კოლმეურნეობებში ამ თარიღს უძღვნიან ლექციებსა და მოხსენებებს, სამეცნიერო კონფერენციებს, შეხვედრებს ძველ ბოლშევიკებთან, რევოლუციური მოძრაობის veteranებთან, პიონერთა შეკრებებს, ვიმღეროებენ.

მშრომელი ხალხის მეგობარი ბერიძისათვის მეზნებარე მებრძოლის დაბადების 100 წლისთავის ზეიმზე ფულუკიძეში რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან უამრავი სტუმარი ჩამოვიდა. მათ გვირგვინებთან შეამკეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი, ა. ფულუკიძის ძეგლი და საფლავი, დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც შეემატა ა. ფულუკიძის ეხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ახალი ექსპონატები.

რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა ა. ფულუკიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ნერეტელი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლიანმა ცოდნამ, დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, რევოლუციის სიქმის უსაზღვრო ერთგულებამ ა. ფულუკიძე, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მგზნებარე სიცოცხლე მოახმარა პარტიის საქმეს, დიდი ლენინის საქმეს, ჩაეყენა ხალხის ფართო მასების აღიარებულ მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა რიგებში.

მოხსენება „ა. გ. ფულუკიძე — თვალსაჩინო მარქსისტ-ლენინელი და რევოლუციონერი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ფულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კორსუნალიამ.

გულთბილი მოგონებანი ა. ფულუკიძის შესახებ დამსწრეთ გაუზიარეს განათლების ფულუკიძის რაიონული განყოფილების მეთოდისტმა ვ. ბახტაძემ, პენსიონერმა. სკკპ ვეტერანმა 1926 წლიდან ბ. დანგაძემ. მათ აღნიშნეს, რომ ა. ფულუკიძის თავდადებული ბრძოლა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, მისი უსაზღვრო ერთგულება ლენინის საქმისადმი, ხალხის ინტერესებისადმი ის მკაფიო მაგალითებია, რომლებზეც იზრდება ჩვენი ახალგაზრდა თაობა. (საქინფორმი).

დეპუტატების ღვიძლი საქმე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ი. ჩხენკელის მოხსენება რესპუბლიკის დაბებისა და სოფლების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის შესახებ. მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ეწევიან დაბებისა და სოფლების განაშენიანებისა და კეთილმოწყობისათვის.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატებმა ეფექტიანი ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელეს ამ მუშაობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე მოსახლეობის ჩაბმისათვის. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე იხილავენ სოფლების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საკითხებს. შედგენილია მთელ რიგ დაბებსა და სოფლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთების დაგეგმარების პროექტები, რაც ხელს შეუწყობს დასახლებული პუნქტების სწორ განვითარებას. ამჟამად ბევრი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

ამასთანავე აღინიშნა ნაკლოვანებანიც ამ საქმეში.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა დაბებისა და სოფლების დაგეგმარების პროექტების შემუშავებაში. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს დაგეგმარების შემუშავებული პროექტები. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით განისაზღვრა, რომ 1975 წელს შესრულებულიყო 100 ასეთი პროექტი, ფაქტიურად კი მხოლოდ 23 შესრულდა.

დაბების დაგეგმარების პროექტებს შედგენის შესახებ საპროექტო ინსტიტუტებთან ხელშეკრულებანი არ გაუფორმებიათ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებს, რაც აფერხებს საძიებო-საპროექტო სამუშაოებს საპროექტო ორგანიზაციებში.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები აშენებულია გენერალური გეგმის უხეში დარღვევებით.

მშრომელთა დეპუტატების საადმინისტრაციო საბჭოების აღმასკომებმა, შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატებმა ეფექტიანი ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელეს ამ მუშაობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე მოსახლეობის ჩაბმისათვის. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე იხილავენ სოფლების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საკითხებს. შედგენილია მთელი რიგი დაბებსა და სოფლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთების დაგეგმარების პროექტები, რაც ხელს შეუწყობს დასახლებული პუნქტების სწორ განვითარებას. ამჟამად ბევრი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

ამასთანავე აღინიშნა ნაკლოვანებანიც ამ საქმეში.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა დაბებისა და სოფლების დაგეგმარების პროექტების შემუშავებაში. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს დაგეგმარების შემუშავებული პროექტები. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით განისაზღვრა, რომ 1975 წელს

თანამგზავრი „ეკრანი“ მუშაობს

ფრენის მართვის ცენტრი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1976 წლის 26 ოქტომბერს, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მეშვეობით, ტელემაუწყებლობის სისტემის შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად, საბჭოთა კავშირში გაუშვეს ახალი თანამგზავრი „ეკრანი“.

ტრაექტორიის კორექციის შედეგად თანამგზავრი გადაყვანილ იქნა სტაციონარულ წრიულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრები უხრუნველყოფენ დედამიწის ზედაპირის მიმართ თანამგზავრის მუდმივ მდგომარეობას ეკვატორის თავზე აღმოსავლეთის გრძედის 99 გრადუსზე.

თანამგზავრზე დადგმული ზუსტად მიმართული ანტენები და დიდი სიმძლავრის სარეტრანსლაციო აპარატები უზრუნველყოფს კოლექტიური საგეგმლობის მიღები დანდგარების მეშვეობით ციმბირისა და უკიდურესი ჩრდილოეთის ტერიტორიაზე ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამების ჩინებულ მიღებას.

თანამგზავრზე ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემა ხდება დედამიწის გადაცემი პუნქტიდან 6 მეგაჰერცი სიხშირით. თანამგზავრიდან გადაცემა წარმოებს 702-726 მეგაჰერცით, სიხშირის მოდულაციის მეთოდით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავის ღღესასწაულის ღღეს თანამგზავრ „ეკრანის“ მეშვეობით გაშორიცეელდა პირდაპირი საცდელი გადაცემა მოსკოვიდან იაკუტიაში, კრასნოიარსკის მხარეში, ტუვის ასს რესპუბლიკაში და ციმბირის სხვა დაშორებულ რაიონებში, რომელსაც სადგურ „ორბიტის“ ქსელი არ მოიცავდა.

თანამგზავრ „ეკრანის“ აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. ა. პეტრენკოს დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

□ □

ამხ. დავით ალექსანდრეს-ძე პეტრენკოს დაბადა 1932 წელს, ეროვნებით ქართველია, სკკპ წევრია 1953 წლიდან. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. 1957-59 წლებში იყო საქართველოს ალკგ ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორი, 1959-61 წლებში — საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი-სპორტული მუშაობის განყოფილების გამგე, 1961-68 წლებში — საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, 1968-72 წლებში სსრკ ნაკრების სპორტული გუნდების საკავშირო ალკგ ცკ-ის კომორგი, 1972-74 წლებში — საკავშირო ალკგ ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, 1974-75 წლებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1975-76 წლებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

დიდი მნიშვნელობის ვიზიტი

ბელგრადი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ მეგობრულ ვიზიტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, განაცხადა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მ. კალეზიჩმა ბელგრადში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაგრძო მან, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ეს ვიზიტი და მოლაპარაკება, რომლებიც ტრადიციული ხდება, ახალი ნაბიჯი იქნება იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, რითაც დაინტერესებული არიან იუგოსლავიაც და საბჭოთა კავშირიც. ჩვენი ორმხრივი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდეს ორივე მხარისათვის მისაღები პრინციპები, მრავალი წლის მანძილზე ვითარდება სტაბილურად და აღმავალი ხაზით ყველა დარგში, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მომავალ მოლაპარაკებაზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობის საკითხები.

ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკების დროს გაიმართება აზრთა გაზიარება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე, კერძოდ დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი განვითარების, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე.

ორი ხელმძღვანელის შეხვედრას, განაგრძო მ. კალეზიჩმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ უდიდესი მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი და მისი გადაწყვეტილება 1977 წელს ბელგრადში შეხვედრის მოწყობის შესახებ, ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია, მუშმხრობელი ქვეყნების მე-5 კონფერენცია კოლომბოში.

პრეს-კონფერენცია ბელგრადში

□

გულისწყრომით გმოგენ

უხეში ცილისწამება ავსტრიის ტელევიზიის ეკრანზე

ვენა. (საკდესი). ავსტრიის საზოგადოებრივობის დიდი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჰიტლერის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ პოლკოვნიკს რუდელს მისცეს შესაძლებლობა გამოსულიყო ავსტრიის ტელევიზიით. ამ პირნავარდნილი ცასიტის ნათქვამმა ავსტრიელთა გულისწყრომა გამოიწვია.

ტელევიზიის ეკრანი რუდელმა გამოიყენა ჰიტლერიზმის პროპაგანდისა და სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმყოფელ პოლიტიკის უხეში ცილისწამებისათვის.

როგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ელფრიდა გრუნდბეკმა, რუდელის გამოსვლამ ტელევიზიით ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ისტორია ცხადყოფს, განაცხადა მან, რომ ავსტრიამ ნეიტრალიტეტი მოიპოვა მხოლოდ და მხოლოდ ომის შედეგად, რომ საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაამარცხეს ჰიტლერული გერმანია.

რუდელის გამოჩენა ავსტრიის ტელეეკრანზე უკავშირდება აგრეთვე ქვეყანაში ნეონაცისტური ელემენტების აქტივიზაციას.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ავსტრიის ტელევიზია პირველად როდი უთმობს თავის ეკრანს ფაშისტური პროპაგანდის გასაწევად. რაადენმე ხნის წინათ ტელევიზიით გამოვიდა ჰიტლერული ორგანიზაციის ახალგაზრდობის „ჰიტლერიუგენდის“ ხელმძღვანელის ფონ შირახის ქვრივი, რომელიც ცდილობდა გაემართლებინა „მესამე რაიხის“ მეთაურთა დანაშაული.

დღის წესრიგშია კრიზისი

პარიზი. (საკდესი). რამბულიეში (პარიზის მახლობლად) დამთავრდა საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ' ესტენისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენის მოლაპარაკება, რომლის ყურადღების ცენტრში იყო ინგლისის ეკონომიური და ფინანსური პრობლემები.

მოლაპარაკების დღის წესრიგი ნაკარნახევი იყო იმით, რომ ინგლისის პარტნიორებს „საერთო ბაზარში“ სულ უფრო მეტად აშფოთებენ უმუშევრობა კრიზისი, რომელსაც ახლა ბრიტანეთის ეკონომიკა განიცდის. ბოლო დროს შეიმჩნევა ინფლაციის გამწვავების ახალი ნიშნები. ერთ წელიწადზე გაანგარიშებით ფასები უკვე 14 პროცენტით გაიზარდა, სახიფათოდ გაფართოვდა უმუშევრობა, რომელმაც დაახლოებით 1,4 მილიონი ადამიანი მოიცვა.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, დამღუპველი გავლენა მოახდინა ინგლისური გირვანქა სტერლინგის მდგომარეობაზე, რომლის კურსის დაქვეითებამ რეკორდულად დაბალ დონეს მიაღწია.

კარიკატურისტის კომენტარი

ამჟამად იაპონიაში უმუშევართა რვა პროცენტს ის ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებმაც წლეულს დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები. (გაზეთებიდან).



გზაჯვარედინზე. გ. ლომბერიძის ნახატი.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

□

„ფორდის“ კონვეიერები დადგა

● ლონდონი. გაფიცვის შედეგად ინგლისის ქალაქ ჰეილვუდში დადგა კომპანია „ფორდის“ საავტომობილო ქარხნის კონვეიერები. გაფიცულნი მოითხოვენ შეწყვიტონ მოთხოვნა და გაგრძელონ მუშაობა.

მოსწავლეთა რიცხვი მცირდება

● ნიუ-იორკი. შეერთებულ შტატებში წლითიწლობით მცირდება უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი. ამის მიზეზია განათლების ფასის ზრდა. ასეთ დასკვნას შეიცავს ამერიკის კოლეჯთა ასოციაციის ყოველწლიური ყრილობისათვის წარდგენილი მოხსენება.

მოხსენებაში მოყვანილი მონაცემებით, ერთი წლის სწავლაში ამერიკელ სტუდენტს მოუხდება საშუალოდ 3 ათასი დოლარის გადახდა.

ანტიფაშისტური მიტინგი

● რომი. მასობრივი ანტიფაშისტური მიტინგი გაიმართა იტალიის ქალაქ ბრესშიაში, სადაც წინა დღით neოფაშისტებმა იტალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სექციის კარების წინ დინამიტის მძლავრი მუხტი აფეთქეს. ბრესშიის მშრომელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ რეაქციისა და ფაშიზმის ძალების ყველა ცდას შექმნან ქალაქში დაძაბულობისა და ძალადობის ვითარება.

ტვირთი პაკისტანისათვის

● უარაჩი. ყარაჩის საზღვაო ნავსადგურის რეიდზე მოვიდა შავი ზღვის სანაოსნოს სატვირთო თბომავალი „პრიდნეპროვსკი“, რომელმაც საბჭოთა კავშირიდან მოიტანა ტვირთი პაკისტანის სახელმწიფო კორპორაციებისათვის. მექანიზმები და მოწყობილობა, ფურცლოვანი ფოლადი და კონსტრუქციები, რომლებიც საბჭოთა სატვირთო გემის ტრიუმებშია, განკუთვნილია ყარაჩის მეტალურგიული კომბინატებისათვის, რომელიც სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით შენდება. ამ გემით პაკისტანში ჩამოიტანეს აგრეთვე ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ტვირთები და საქონელი.

საკდესის კომენტატორი

□

„გარდამავალი პერიოდი“ ამერიკაში

2 ნოემბერს გამართული პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ შეერთებულ შტატებში დაიწყო ეგრეთ წოდებული „გარდამავალი პერიოდი“, რომლის დროს ჯ. ფორდის რესპუბლიკურმა მთავრობამ ძალაუფლება უნდა გადასცეს არჩევნებში გამარჯვებულ დემოკრატთა წარმომადგენელს — ჯ. კარტერს. მომავალი წლის 20 იანვრამდე, როცა ახლადარჩეული პრეზიდენტი ოფიციალურად დაიკავებს ამ თანამდებობას, მან და მისმა მომხრეებმა უნდა შექმნან ახალი მთავრობა, დანიშნონ ასობით პირი სახელმწიფო აპარატში და, რაც მთავარია, მოხაზონ უმნიშვნელოვანესი პროგრამების კონტურები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ჯ. კარტერის ჯგუფმა უკვე აქტიურად დაიწყო ამ ამოცანების გადაწყვეტა. შექმნა შტაბ-ბინა ვაშინგტონში.

არჩევნების შემდეგ თავის პირველ პრესკონფერენციაზე ჯ. კარტერმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობის უმნიშვნელოვანესი შინაპოლიტიკური ამოცანები იქნება უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა, ინფლაციის აღმოგვა, ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება, გადასახადების და სოციალური დახმარების სისტემის რეფორმები.

როცა საგარეო პოლიტიკას შეეხო, განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ შეეცვლის მას. მინდა დავარწმუნო როგორც ჩვენი მუდმივი მოკავშირეები და მეგობრები, აგრეთვე ისინი, ვინც ჩვენი პოტენციური მოწინააღმდეგეი და ვისთანაც ამჟამად მეგობრული ურთიერთობა გვაქვს — საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ყველა დანარჩენი, რომ ცდას არ დავაკლებ მშვიდობას.

განმარტავს რა ამ გამონათქვამებს, ამერიკის პრესა მიეხალმება ასეთ მიდგომას, ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ნორმალური ურთიერთობა, მისი გაუმჯობესების ცდები ხაარსებო საჭიროებაა, ნაკარნახევია ობიექტური გარემოებებით. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ აზრით, ჯ. კარტერმა „ყველას აშკარად აგრძნობინა, რომ სურს საბჭოთა ღონისძიებანი განახორციელოს, რათა განგრძოს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და საბჭოთა კავშირთან დადოს ახალი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.“

ასეთი განცხადებების განხორციელება შეეხებამება არა მარტო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მთელი პლანეტის ხალხთა ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის ინტერესებს.

საკდესის კომენტატორი

□

„ნართმეული ბავშვობა

ამ ბავშვის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით: არც მისი სახელი, არც ასაკი ჩვენთვის ცნობილი არ არის. არ ვიცით, ჰყავს თუ არა მშობლები, და-ძმა, ახლობლები. მაგრამ ეს ფოტოსურათი სევდიანად გვიამბობს, რომ ამ პატარისათვის უკვე ჩაევლილია ბელნიერი ბავშვობის ხანა. ამიტომ გამოიყურება იგი ასე ნაადრევად მოზრდილივით. სურათი გადაღებული ალანახან, ჩილეს ქალაქ კოკიმბოს ღარიბთა კვარტალში.

ეს ფოტოსურათი არაფრით ჰგავს იმ ჩვეულებრივი ბავშვების ფოტოსურათებს, რომლებიც თავის დროზე ჭამენ, სძინავთ, თამაშობენ, დადიან სასავლო ბალებში, ჯანმრთელი და ლაღი არიან, ზოგჯერ კიდეც ტირიან, მაგრამ მათი ცრემლები ირასოდეს არ არის გამოწვეული გაჭირვებით, შიმით ან შიმშილით. დიახ, ეს სურათი ბედნიერი და მოღიმარი ბავშვების სურათებს არა ჰგავს.

„არაფერი მიმაჩნია უფრო ტრაგიკულად, ვიდრე ის, რომ ერთი დასახლების 400 ბავშვი საჭმელს ჭამს და დანარჩენი 400 კი იძულებულია მშიერი იდგეს გარეთ“ — ეს სიტყვები ეკუთვნის „ღარიბთა ბავშვების დამხმარე“ საზოგადოების ხელმძღვანელს დორა ჰერერას. ეს საზოგადოება ეკონომიურად საკმაოდ შეზღუდულია და სანტიაგოელი მუშების ბავშვთა მხოლოდ მცირე ნაწილს ძლივს ეხმარება. ამის წინათ ჩილეს ყოველკვირეული „ვეი“ „ღარიბთა ბავშვების დამხმარე“ საზოგადოების სასადილოთახების შესახებ წერდა: „მართლდ მარტონი, უდედოდ, უმამოდ მყრალწყლიანი ბავშვები შეიყარენ სასადილოდ. მათ არ ახლავთ უფროსი და ან ძმა. არც ერთი მათგანის სახეზე სიხარულისა და სილაღის ნიშანწყალიც არა ჩანს, მორიდებით სხდებიან გრძელ სკამებზე. ამ პატარებმა უკვე იციან, რომ მამა უმუშევარია, ოჯახი შიმშილისაგან სულს ღაფავს...“

დიახ, ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ბავშვი ათასობით პატარა ჩილელის ხვედრს იზიარებს: უფრო ხშირად მისი თეფში ცარიელია და საკუთარი საწოლი მხოლოდ ოცხრაა.

სამეოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მონიდა დაბომბეს, მუხანათურად დახოცეს პრეზიდენტი ალიენდე, ეიქმორ ხარა და სხვა ჩილელი პატრიოტები, რომლებსაც ჩილელი ბავშვებისათვის ბედნიერი ცხოვრების შექმნა სურდათ. დახოცეს ადამიანები, რომლებიც ბავშვებს ყოველდღე უფასოდ ნახეთვარ ლიტრ რძეს აძლევდნენ და კიდევ მეტის მიცემა შეეძლოთ მათთვის. პინოჩეტმა და მისმა დამკვეთებმა კი გაბარკვეს ჩილელი ბავშვები, წაართვეს მათ ადამიანური პირობები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პინოჩეტი (ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან მჭიდრო კავშირშია და ისინი გაერთიანებული ძალით ებრძვიან ყოველგვარ დემოკრატიულს და ჰუმანურს, ირგვლივ შიშს, შიმშილსა და სიკვდილს თესავენ. მაგრამ მშვიდობისმოყვარე ადამიანებს სწამთ, რომ ჩილელი ხალხი მიაღწევს გამარჯვებას. ჩილელი ბავშვები ისევ ისწავლიან სიცილს.

გაზეთ „დერ მორგენის“ მასალების მიხედვით.

დიქტატი? არა, თანასწორობა!

თანამეგობრობის პრობლემები

ᲐᲛᲐᲡ წინათ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ განვითარებული ქვეყნების „ეკონომიური უკმაყოფილება შეიძლება მომავალში დასავლეთისათვის ერთობ საშიში გახდეს“.

ასეთი უკმაყოფილების მიზეზი კი საკმაისზე მეტია. დასავლეთის 24 ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის წილად (რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა პლანეტის მცხოვრებთა მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენს) მსოფლიოს საერთო პროდუქტის 65 პროცენტზე მეტი მოდის. ამასთან, თვით ბურჟუაზიული სტატისტიკის მონაცემებით, „უღარიბეს“ ქვეყნებში მცხოვრები 1,2 მილიარდი ადამიანიდან 750 მილიონი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს და შიმშილობს. „მესამე სამყაროში“ ბავშვთა საკვდილიანობა რვაჯერ მეტია, ვიდრე „ცივილზებულ“ ქვეყნებში, სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთი მესამედით ნაკლებია, უფროსი ასაკის მოსახლეობაში უწიგნურთა რიცხვი 60 პროცენტით მეტია. განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი წელიწადში მხოლოდ 2 პროცენტით იზრდება: მილიონობით ადამიანისათვის ეს ნიშნავს შემოსავლის ზრდას წელიწადში მხოლოდ ერთი-ორი დოლარით... დასავლეთმა „მესამე სამყაროს“ ვალების ქვეშეთ გაადა. განვითარებადი ქვეყნების დავალიანების საერთო თანხამ 1975 წლის ბოლოსათვის 160 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამასთან ეს თანხა ყოველწლიურად 20 მილიარდით იზრდება. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან ეგრეთწოდებული ფასების მაკრატლის მოქმედებას, რაც გამოწვეულია მათს ნედლეულზე დაბალი შესასყიდი ფასების დაწესებით და დასავლეთის სამრეწველო საქონლის სიძვირით. დასავლეთი ყოველნაირად ცდილობს ისინი კვლავაც აგრარულ-სანედლეულო დანამატის და „უმცროსი პარტნიორების“ მდგომარეობაში იყოლიოს; ყველა ღონეს ხმარობს, რათა აიძულოს ისინი დასავლეთის „დახმარება“ თავიანთი დამოუკიდებლობის ხარჯზე აანაზღაურონ: აკი განაცხადა კიდეც წლეულს მარტში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა, ამერიკის დახმარების მიღების მსურველმა ქვეყნებმა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე ამერიკის წინადადებებს უნდა მისცენ ხმა. მათ კვლავაც ემუქრებიან. არცთუ დიდი ხნის წინათ — წლეულ ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა ელიოტ რიჩარდსონმა განაცხადა, არაბული ქვეყნების მიერ ნავთობზე ახალი ემბარგოს შემოღებას (როგორც 1973 წელს) „ვაშინგტონმა უეიძლება „გადამწყვეტ სამხედრო მოქმედებით“ უპასუხოსო.

საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში არათანასწორუფლებიანობა, დისკრიმინაცია ვაჭრობაში, დიქტატი, განვითარებადი ქვეყნების ექსპლოატაციი ერთ-ერთი ისტორიული ანაქრონიზმია, ამასთან ერთობ სახიფათო. იგი მარტო მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარებას როდი აყენებს ზიანს. მას შეუძლია საგრძნობი დარტყმა მიაყენოს საერთაშორისო უშიშროებას. აი რატომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ამ საფრთხის დროულად თავიდან აცილებას.

ეკონომიური დიქტატის და თვითნებობის ყოველგვარი ფორმის თავიდან აცილების გზები და საშუალებები დასახულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში „საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობათა გარდაქმნის შესახებ“, რომელიც ამის წინათ განსახილველად წარდგენილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიაზე.

ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს. ამჟამად დასავლეთში ზოგჯერ ამტკიცებენ, თითქოს ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის ხელშეწყობის შესახებ საკითხის დაყენებაში პროლეტარიატი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეკუთვნოდეთ. მაგრამ ეს სინამდვილეს არაფრით შეესაბამება. სინამდვილე ასეთია: ჯერ კიდევ 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა და წამოაყენა მოქმედების ეკონომიური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა კაბალური ხელშეკრულებების გაუქმებას, ღონისძიებების განხორციელებას ინფლაციისა და ფიფლასურების თავიდან აცილებისათვის, სათბობის კრიზისთან ბრძოლას. ამ პროგრამისა და საბჭოთა კავშირის სხვა პირველი აქციების შესახებ, რომლებიც სავსებით შეესაბამებოდნენ ჩაგრული ხალხების ინტერესებს, არაბი ისტორიკოსი ამშაფინი წერდა: „კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოჩნდა დიდი სახელმწიფო, რომელსაც არ სურდა არავისი კოლონიზება, არც დაპყრობა და არც ექსპლოატაცია. სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოს განმათავისუფლებელი ძალების მხარეზე დადგა“.

საბჭოთა კავშირის მიერ მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც ღღემდე განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისი აღმოჩნდა.

უკანასკნელ წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი დოკუმენტები მიიღო: სახელმწიფოთა ეკონომიური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია, ახალი საერთაშორისო ეკონომიური წესრიგის დასამყარებლად მოქმედების პროგრამა და დეკლარაცია. მაგრამ ამ პრობლემათა გადაწყვეტაში ღღემდე არაფერია საგრძნობი ძვრები არ მომხდარა. როგორც ამას წინათ კოლომბოში გამართულ მოიმხრობელი ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე აღინიშნა, „არაფერი პროგრესი არ ყოფილა მიღწეული“ პარიზში გამართული ეგრეთწოდებული „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დიალოგის მსვლელობაში. „მუშმხრობელი და სხვა განვითარებადი ქვეყნების იმედები ვერ გაამართლა“ ავრეთვე წარიობში გამართულმა იუნკტადის სესიამ.

საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნის საკითხისათვის

□

მოუხედავად ამისა სულ უფრო ცხადი ხდება, რომ დასავლეთი თავს ვერ დაიღწევს არაეკვივალენტური

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

„ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲔ



ᲡᲮᲕᲘᲢᲝᲠᲔᲚᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲢᲠᲨᲘᲐᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲝᲨᲐᲫᲔ.
ნახატი სსრკ სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძისა.

**ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲠᲘ ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲝᲗᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ“ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ 22 XI, 73 წ.) ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲚᲔᲚᲕᲔᲑᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲘᲑᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ, ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲗᲘᲗᲐᲫᲔ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ, ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ Გ. ᲬᲘᲑᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ „ᲩᲕᲔᲜᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ“ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ 22 XI, 73 წ.) ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲚᲔᲚᲕᲔᲑᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ.

ᲡᲙᲙᲙ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲐ. „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, — ᲗᲥᲕᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ ᲡᲙᲙ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ, — ᲛᲗᲔᲚᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲐᲛᲐᲜᲗᲚᲔᲑᲔᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐ“.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝᲡ, ᲑᲐᲜᲯᲒᲛᲘᲡ ᲓᲠᲔᲤᲜᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲐᲛᲝ ᲜᲘᲮᲠᲘᲐᲚᲘ. ᲐᲐᲛᲐᲜᲗ ᲢᲐᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲨᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲒ-ᲙᲐᲠᲒᲖᲔ ᲕᲘᲡᲣᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲮᲕᲘᲢᲝᲠᲘᲡ, ᲙᲐᲙᲐᲪᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲝᲨᲐᲫᲔᲡ

ᲩᲔᲛᲝ ᲘᲕᲐᲜᲔ!

ᲐᲒᲔᲠ ᲗᲘᲗᲘᲛᲓᲔ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠ ᲮᲘᲡ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲕᲘᲡᲮᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲒ-ᲙᲐᲠᲒᲖᲔ ᲕᲘᲡᲣᲚᲔᲑᲓᲘᲗ.

ᲨᲔᲜᲡ ᲙᲐᲠ-ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲡ ᲛᲓᲒᲘᲜᲐᲠᲔ ᲩᲘᲮᲣᲠᲐ ᲩᲐᲣᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲠᲗᲐᲡᲛᲔᲜᲐᲡ ᲐᲪᲙᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲝ ᲩᲮᲠᲘᲐᲚᲘ. ᲐᲐᲜᲗ ᲢᲐᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲨᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲤᲡᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲓᲘᲗ. ᲒᲐᲛᲣᲠᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲐᲛᲐᲒᲘᲗ ᲛᲔᲡᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲘᲓᲠᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲪᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲘᲓᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲓ

მოგებული მატჩი

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე

„დინამო“ თბილისი–„დინამო“ მოსკოვი — 3:1 (0:1).

13 ნოემბერი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი მ. სტუპარი (ივანოფრანკოვსკი).

„დინამო“ თბ. — გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩიკაძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

„დინამო“ მ. — გონტარი, ნიკულინი, პაროვი, მასოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი (კრამარენკო), მინაევი, მაქსიმენკოვი, იაკუბიკი, გეორგოვიჩი, კაზაჩონოკი (გავრილოვი).

ბურთები გაიტანეს: მოსკოველთაგან კაზაჩონოკმა (მე-6 წუთზე), თბილისელთაგან ჩელებაძემ (49-ე და 68-ე წუთებზე) და მ. მაჩაიძემ (89-ე წუთზე).

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი, მწვრთნელები —. სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. ქიაბაშიკა, ხ. მეგრელელი და სპორტის ოსტატი ხ. კუტუნავაძე) სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატში, ისევე როგორც საგაზაფხულო. გათამაშებაში, კვლავ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები და უფლება მონაწილეობა მიიღოს უეფა-ს თასის გათამაშებაში.

თბილისის „დინამო“ — ბრინჯაოს პრიზიორი

ამღერებული გული

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მედეა ძიძიგურის ყოველი გამოსვლა საკონცერტო ესტრადაზე მუსიკის მოყვარულებს განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავს. ჩვენ კარგად გვახსოვს, როდესაც მედეა, თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, პირველად გამოჩნდა საკონცერტო დარბაზებში. მას შემდეგ არც თუ ისე დიდმა დრომ განვლო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში სიმღერის მოკრძალებული მოყვარული უკვე პროფესიონალი მომღერალი გახდა. ხელოვანს ჩვენი ქეყნის მრავალ ქალაქებში უმღერია და მოუხიბლავს მსმენელი. ისევე წარმატება ჰქონია უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, საესტრადო სიმღერების საერთაშორისო და საკავშირო კონკურსებსა და ფესტივალებზე.

საესტრადო ჟანრი მეტად ცვალებადი და „ჭირვეული“ ხელოვნებაა. ზშირია შემთხვევა, როდესაც ესტრადის მსახიობი სახელს, აღიარებას, თავყვანისმცემლებს მოიპოვებს, მაგრამ გაიკლის სულ ოთხი-ხუთი წელი, ზოგჯერ ნაკლებიც, და იგი დავიწყებას მიეცემა... იმიტომ მსჯელობას, თუ რაა მიზეზი ამგვარი მოვლენებისა, ახლა არ ვაპირებთ, აღვნიშნავთ კი, რომ საესტრადო ჟანრში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებსა და ჟანრებში სტაბილურად და ხანგრძლივი წარმატების მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭითა და მაღალი პროფესიონალიზმით შეიძლება. სწორედ ამგვარ კატეგორიებს ვგულისხმობთ, როდესაც „მედეა ძიძიგურის ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ. და თუ აღნიშნულს დავუმატებთ მსახიობის ორიგინალურ, სასიამოვნო ტემბრის ხმას, სცენურ კულტურას და გემოვნებით შერჩეულ რეპერტუარს, ნათელი გახდება თუ რა არის მედეას კონცერტების ესოდენ ღიდ

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მედეა ძიძიგურის სალამო-კონცერტზე

□

დი წარმატების საფუძველი.

ამ დღეებში მედეა ძიძიგური სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კვლავ წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე. საღამოს პირველ განყოფილებაში მომღერალთან ერთად ესტრადაზე ვიხილეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის საესტრადო ორკესტრი თ. ჯიაანის ხელმძღვანელობით. წარმატებით შესრულებული მრავალი სიმღერიდან მინიც გამოვყოფდით ა. კერესელიძის მიერ ჯ. ტაბიძის ლექსზე დაწერილ ქმნილებას „მზეო, მარიამ“. ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია ეს ფაქიზი და ღრმა გრძნობებით აღსავსე ნაწარმოები მ. ძიძიგურის ჩინებული ინტერპრეტაციით. ამ სიმღერით შემსრულებელმა კვლავ

დაგვარწმუნა, რომ მისი სახით ქართულ ესტრადას სერიოზული, ფაქიზი გემოვნებითა და დიდი მუსიკალურობით დაჯილდოებული შემოქმედი ჰყავს. კონცერტის პირველი განყოფილების საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის საესტრადო ორკესტრმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ებრაღიძემ, რომელმაც მ. ძიძიგურთან ერთად რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა კონცერტი მეორე განყოფილებაში. ქართულ სიმღერებთან ერთად პროგრამაში ძველებური რუსული რომანსები და ბოშური სიმღერები აფერადა პიანისტ მ. გონგლიაშვილის და გიტარების დუეტის (ს. ნაცვალაძე და მ. ანდრონიკაშვილი) აკომპანიმენტით.

მედეა ძიძიგურს უკვე კარგა ხანია ჩინებული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული როგორც რუსული რომანსებისა და ბოშური სიმღერების შემსრულებელს. იგი ფლობს ამგვარი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ სამემსრულებლო სტილს და ამავე დროს პირადი შემოქმედებითი მიდგომით ამდიდრებს და განაახლებს მათ. სასიამოვნოა, რომ აღიარებული დიდოსტატების თამარ წეროეთლის, ქეთო ჯაფარიძის და სხვა მომღერლების მდიდარ ტრადიციებს მედეა ძიძიგურის სახით ერთ-ერთი ნიჭიერი გამგრძელებელი ჰყავს.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ საღამოს საინტერესოდ და უშუალოდ უძღვებოდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. თაბუკაშვილი.

ხ. ცინცაძე,
მუსიკისმცოდნე.

სურათზე: მღერის მედეა ძიძიგური.

ხ. კილაძის ფოტო.

ფელეტონი

ასმანეთიანი მაღარიჩი

როცა ტატიანა ბელოუსოვას გულით საწადელი მაღაზიის გამგეობა შესთავაზეს, გამეოცებული ცოდვისა არ იყოს, მეტისმეტი თავმდაბლობა გამოიჩინა — დიდის მორიდებით დათანხმდა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

როგორც კი ჯიბეში გაიკრა დაწინაურების ბრძანება, მედიდურად შეაბიჯა კაბინეტში და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეიფელის კოშკიდან გადაპყურებდა სამყაროს.

გამგე იყო, აბა ცხვირი როგორ არ აეტხიკა?

მისელისთანავე კაბინეტის ავეჯის განლაგება გადაახალისებინა, აღმოსავლეთის ნაცვლად მაგიდას დასავლეთისკენ აქნევინა პირი, რაღაც კედლებზე ჩამოკიდებული სურათებისა და სპატიო სიგელების გადაადგილებაც მოჰყვა, მაგარი სკამი — რბილით შეაცვლევინა, სავენტილაციო დანადგარის სიმძლავრე გაადიდებინა და ამის შემდეგ ჩაუჯდა საქმეს.

გამგე იყო და საქმიანი კაცივით ჩაკკერკეტებდა ყველაფერს. წითელი ფანქრის დასტა ჰქონდა და რეზოლუციებით აჭრელებდა ფურცლებს. ხანდახან წვრილ ხმას იაე დაიბოხებდა და ისე დაიქუხებდა, რომ შეშინებული თანამშრომლები ლამის დახლქვეშ შემძვალიყვნენ. ხანდახან გუნება დაეწმინდებოდა, ამ დროს იგი თოფლად იღვრებოდა, პირიდან სიტყვები კი არა, ვარდის სურნელი ამოსდიოდა.

„მობრძანდით, დაბრძანდით, უფროსებს მოველაპარაკები გეთაყვა, დაგეხმარებით, მოგაწყობთ“ — ასეთი სიტყვებით ისტუმრებდა მომსალელებს.

როდესაც კიროვის რაიონის კვებეაკომობის № 22 მაღაზიაში, სადაც ტატიანა გამეგობდა, სექციოსერის ან გამყიდველის ვაკანტური ადგილი გამოხდებოდა, ვიტრინაში გახცხადებას გამოაკრავდა — „გეკერდება ესა და ეს, პირობებისათვის ძიმართეთ ძხოლოდ და ძხოლოდ გამგეს“.

პირობების გასაგებად მოსულს ფეხი-ფეხზე გადადებული ხვდებოდა. ჯერ ვინაობას გამოკითხავდა, შემდეგ განცხადებას გამოართმევდა, ზერელედ ჩაათვალიერებდა, მერე ძეატრიალ-ძეთატრიალებდა, მორიდებით მდგარ, პასუხის მოლოდინში გატრუნულს დაამტერდებოდა და რაკი თვალში არ ძოუვიდოდა, სამი კვირის შემდეგ დაიბარებდა.

ამ დღეს ტაისა ვარლამთვამ მოწეწებით ძეაღო გამგის კაბინეტის კარი. „შეიძლებაზე“ დადებითი პასუხი ჯრომ მიიღო, მაგიდას მიუახლოვდა და გამგეს განცხადება გაუწოდა.

სამიდო ქალი ჩანს, გაიფლო გუნებამი ტატიანამ, მერე ჩვეულებისამებრ ითვალიერა-ჩაათვალიერა და რაკი დარწმუნდა სამიდო პიროვნებასთან ჰქონდა საქმე, ენად გაიკრიფა — დღევანდელ პირობებში მომხმარებელი უფრო მომთხოვნი გახდაო, მომსახურების კულტურა უნდა ამაღლდესო, არ შეიძლება ზომა-წონაში მოატყუო ვინმე მითუმეტეს მაშინ, როცა მაღაზიები საკმაოდ მარაგდებიან ისეთი ქალაღლდთ, რომელიც თვითეულ წონაში არც მეტი, არც ნაკლები, გამყიდველს 60-70 გრამ წვინდა მოგებას აძლევსო.. ისიც დასძინა, ზედმეტია თავის ატკივება, რადგან ქალაღლი ისეთი რამეა, მომხმარებლის დავას არ იწვევს და სუფთა მოგების სახით ჯიბეში ჩადისო.

კარგად რომ გააბრუა ტაისა, იოლი გამდიდრების შთამბეჭდავი სურათი დაუხატა, შემდეგ პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა და დასძინა — როგორც გამეგე, იგი ღვთისნიერი ადამიანია, ტაისას დანიშვნაზე შაური რა არის, ისიც არამი იქნება მისთვის, მაგრამ „ზეკვეთ გაუმაძღარი ხალხი ზის“ და ასმანეთიანი მაღარიჩის გარეშე ბრძანებაზე ხელს არ მოაწერენო.

— გამიგეთ?

— გაგიგეთ, ქალბატონო ტატიანა.

ქალბატონმა ტატიანამ გარკვეული დრო და საათი დაუნიშნა ტაისას და წინასწარ მიეღოცა ახალი სამუშაო ადგილი.

დათქმულ დღეს ტაისამ ტატიანს ტკაცინა ასმახეთიანი გადაესცა. ტატიანამაც ხელი მაგრად ჩამოართვა და მილოცვის ნიმნად საკოცნელად გაიწია მისკენ, მაგრამ ნიო წაეხლა — უჩინარინივთ თავზე წაადგნენ 26 კომისრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სოცსაკურების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ძველგანყოფილების უფროსი ზ. კობერიძე და უფროსი ინსპექტორი გ. გიგეა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეერთმე, გაგე სახელდახელოდ მეძეწილ თუ უმართებულოდ დაკაუბულ რბილ სკამს დაამშვიდობა, მაგარ სკამზე გადაინაცვლა, სადაც მას მართლმსაჯულების რისხვა დაატყდა და „ოთხწლიანი საგზურით“ შრომაგასწორების ბანაკში გაისტუმრეს.

გ. გვაძაბია.

ეს საინტერესოა!

ფრინველთა გადაფრენის საიდუმლოებანი

აგვისტოში ნოვოსიბირსკში მიმდინარეობდა ფრინველთა ტრანსკონტინენტური მარშრუტების შემსწავლელი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ 25 ქვეყნის — სსრ კავშირის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, კანადის, ნორვეგიის, ირანისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

სიმპოზიუმზე დიდი ინტერესით შეხვდნენ მოხსენებას „ფრინველთა თანამედროვე მიგრაციები ძველი ეკოლოგიური კალაპოტებით“. მოხსენება საბჭოთა ზოოლოგმა (სახალინი) ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვიქტორ ვორონოვმა წაიკითხა.

...ხმელეთის ფრინველების — წინტალების, ღალღების, წყალწყალების, ყანის ჩიტების გუნდები, რომლებიც ბერინგის ზღვით აღმოსავლეთისაკენ, ამერიკის კონტინენტისაკენ მიფრინავენ... ასეთი სურათი სამეცნიერო-კვლევითი გემიდან ბიოლოგ შუნტოვს უნახავს. მეცნიერი ჩაუფიქრდა იმას, თუ რატომ გადის ხმელეთის ფრთოსანთა გადაფრენის მარშრუტები ასე შორს ნაპირიდან, თითქმის გაყინული ზღვის ცენტრში.

დაკვირვებების შემდეგ შუნტოვმა შეადგინა ბერინგის ზღვაზე ფრინველთა მიგრაციის რუკა. ამ რუკაზე წერტილებით აღნიშნულია ადგილები, სადაც კი უნახავთ ხმელეთის ფრინველები. ფრთოსან მოგზაურთა საოცარი მარშრუტი შუნტოვმა ტაიფუნებისა და შტორმის ქარის მოკმედებით ახსნა.

3. ვორონოვმა ეს მოგზაურობა სხვაგვარად ახსნა. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ შუნტოვის რუკაზე ბერინგის ზღვაში ხმელეთის ფრინველებთან შეხვედრების ადგილები ემთხვევა „საყრელს“ ზაზს, რომელიც აღნიშნავს სიღრმეებს, რომლებიც კამჩატკის ოლიუტორის კონცხიდან ამერიკის კონტინენტის ბრისტოლის ყურემდე გადაჭიმულა. ამ ზაზის ჩრდილეთით იწყება შედარებით წყალმარჩხობა.

თუ ვივარაუდებთ, რომ გამყინვარებამდე პერიოდში, პლეისტოცენის დროს, „საყრელამდე“ ხმელეთი იყო გადაჭიმული, და თუ მის საზღვარზე გავდებთ ფრთოსანთა მიგრაციის გზებს, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ საოცარი დამთხვევა — ფრინველთა მარშრუტები სწორედ ძველ ნაპირზე გადის. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ ზღვის სანაპიროები გადაფრენის დროს ფრინველებს საკვებით უზრუნველყოფს და უამინდობისაგან კარგი თავშესაფარიც არის. მაშ რატომღა მიდიან ფრინველები, თანაც ხმელეთის ფრინველები, რისკიან მოგზაურობაში ზღვის გავლით, როცა ამერიკის კონტინენტს შეიძლება უფრო უსაფრთხო გზით ბერინგის ყურის გავლით მიაღწიონ?

3. ვორონოვი ამახ შემდეგნაირად ხსნის. ამჟამად არსებობს ორი კატეგორიის ფრინველები, თუ მათ შორ მანძილზე მიგრაციის თვალსაზრისით განვიხილავთ, — „პლასტიკური“ და „კონსერვატიული“.

„პლასტიკურები“ მგრძნობიარედ რეაგირებენ გარემოს ცვლილებებზე, კერძოდ სანაპიროს ხმელეთის კატაკლიზმებზეც, მაგრამ „კონსერვატორები“...

რატომ არ უნდა ვიფიქროთ, ამბობს მეცნიერი, რომ ამ ფრინველებს აქვთ რაღაც მექანიზმი ან გენეტიკური კოდი, რომელიც აიძულებს მათ მრავალი ათასწლეულების წინათ გადებული მარშრუტით იფრინონ? — და თუ ეს ასეა, მაშინ ძნელი არ არის გამოვიტანოთ მეორე დასკვნაც: რომ იქ, სადაც ახლა „კონსერვატიული“ ფრინველების მარშრუტები გადის, ოდესღაც ხმელეთი იყო.

ეს ჰიპოთეზა შორეული ალმოსავლეთის ზოგიერთი ფრთოსნის ფრენის მარშრუტის მემკვიდრეობით შენარჩუნების თაობაზე მარტო ხმელეთის ფრთოსნებს რომ შეეხება. იმავე სახალინზე ზღვის ზოგიერთი ფრინველი „ძველი მეხსიერებით“ შემოფრინდება ხოლმე კუნძულის სიღრმეში — სამხრეთ სახალინისა და ტიმ-პორონაის ზეობებში, რომლებიც, ზოგიერთი პალეოგეოლოგიური მონაცემებით, ოდესღაც ნესლით იყო დაფარული.

მეცნიერმა მეორე საოცარ კანონზომიერებასაც მიაქცია ყურადღება: „კონსერვატიული“ ფრინველები გამოირჩევიან არა მარტო იმით, რომ საოცრად „ახსოვთ“ გზები, რომლებიც მათმა უძველესმა ნათესავებმა გაიარეს, არამედ, როგორც ჩანს, გადაფრენის იმავე ვადებსაც კი, იცავენ. სხვანაირად რით აიხსნება ასეთი ფაქტები:

ყოველწლიურად 2 აპრილს იუენო-სახალინსკის მიდამოებში გაჩნდება ხოლმე ნესლწყალა. ზუსტად ამ დღეს მოფრენის ვადახ ეს ფრინველი მაშინაც კი იცავს, როცა კუნძულზე ამ დროს თოვლი დევს და მაგარი ყინვაც არის. მაგრამ აი რა არის კიდევ საინტერესო — ქალაქ კიშინიოვში, რომელიც იუენო-სახალინსკის გენდზე მდებარეობს, ნესლწყალა ამავე დროს გამოჩნდება ხოლმე! ხოლო იგივე შოშიები და ტოროლები, რომლებსაც ვ. ვორონოვი „პლასტიკურ“ სახეობებს მიაკუთვნებს, კიშინიოვის მიდამოებში ერთი თვით ადრე მოფრინავენ ხოლმე... ხომ არ მოწმობს ეს იმას, რომ ოდესღაც შორეულ სახალინზე ისეთივე რბილი კლიმატი იყო, როგორც მოლდავეთში?

ამრიგად, თუ ვიქტორ ვორონოვის ჰიპოთეზა დადასტურდა, ჩვენი პლანეტის პალეოისტორია ერთგულ თანაშემწეებს შეიძენს ფრთოსანთა იმ ნაწილში, რომლებმაც თავიანთი შორეული წინაპრების მეხსიერება შეინარჩუნეს.

ი. შაშკოვი,
(ახალი ამბების სააგენტო)

მატჩის შემდეგ

სიტყვას ვაძლევთ გუნდების მწვრთნელებს და არბიტრს

მატჩის შემდეგ გაიმართა ტრადიციული პრეს-კონფერენცია, რომლის დასასრულს ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „დინამოს“ უფროსს მწვრთნელს ნ. ახალკაცს, მოსკოვის „დინამოს“ უფროსს ი. მოზერს და მატჩის არბიტრს მ. სტუპარს.

აი რა თქვეს მათ:

ნ. ახალკაცი — წლევანდელი სეზონით — როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო ჩემპიონატების შედეგებით, ცხადია, კმაყოფილი ვარ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ გასულ წელთან შედარებით სატურნირო ცხრილში ჩვენ ხუთი ადგილით ავიწიეთ ზემოთ და ორივეჯერ შევძელით ბრინჯაოს მედლების მოპოვება. გარდა ამისა, თბილისის „დინამო“ წელს პირველად გახდა საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, რამაც ესოდენ გაახარა ქართული ფეხბურთის მოყვარულთა გული.

რაც შეეხება მოსკოველ თანაკლუბელებთან განვლილ ბრძოლას, იგი, როგორც მოველოდით, უაღრესად ძნელი იყო. გამარჯვება ხომ ორივე გუნდს ერთნაირად სჭირდებოდა. ჩვენი მეტოქე თბილისელთათვის რომ ტრადიციულად „მძიმე“ გუნდია, ამას თვალნათლივ მოწმობს თუნდაც საფეხბურთო სტატისტიკა. ჩვენს მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ტრავმის გამო ვერ გამოვიყენეთ კანთელაძე. ყიფიანი ავადმყოფობის შემდეგ პირველად თამაშობდა, ხოლო გუცაევი ტრავმირებული იბრძოდა მოედანზე. საინტერესოა, რომ საასპარეზოდ თბილისელები თითქმის თასის ფინალის შემადგენლობით გამოვიდნენ. მატჩით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შენიშვნა მაქვს ჩვენი ბიჭებისადმი — მათ პირველ ტაიმში რამდენჯერმე სცადეს უხეშობისათვის მიემართათ. ეს კი ერთნაირად არ ეკადრება: არც ერთ გუნდს — არც ჩემპიონს და არც პრიზორს.

ი. მოზერი: წლევანდელი სეზონით კმაყოფილი ვართ. ... ძლევამ ასე ითქვას. სანახევროდ. საქმე ის არის, რომ საგაზაფხულო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოვიპოვეთ. ახლა კი საპრიზო ადგილზეც ვერ გავედით. ალბათ, ფეხბურთის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება ცნობა, თუ რა შედეგი მოჰყვა ჩვენს პროტესტს ერევნის „არარატთან“ მატჩში. გეტყვით, რომ ორიოდე დღის წინ ჩვენ მოვხსენით ეს პროტესტი.

გულითადად ვუსურვებ თბილისის „დინამოს“ სამმაგ წარმატებას ამ სეზონში — სსრ კავშირის თასისა და ბრინჯაოს მედლების ორი კომპლექტის მოპოვებას. თბილისელები წელს თანამედროვე ფეხბურთს თამაშობდნენ, და ორივე ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო მატჩი ჩაატარეს.

მ. სტუპარი: ვსარგებლობ შემთხვევით და თბილისელ ფეხბურთელებს მეც ვულოცავ მესამე ადგილს. ვიცოდით, რომ თანაკლუბელთა თამაში ჩემპიონატის ფინიშზე ძნელი იქნებოდა როგორც თვითონ ფეხბურთელებისათვის, ასევე მსაჯებისათვის. პირველ ტაიმში მართლაც იყო უხეშობის რამდენიმე ფაქტი. მეორე კი გაცილებით კორექტულ ვითარებაში წარიმართა. ისე კი, ჩემი გულწრფელი რჩევაა მოთამაშეებისადმი, მეტი იფიქრონ თამაშზე და ნაკლები ენერგია დახარჯონ მსაჯებთან კამათში. დამერწმუნეთ, ამით მოიგებს ყველა — მოთამაშეც. გულშემატკივარიც და საერთოდ ფეხბურთი!

ო. ნოზაძე.

* * *

სურათებზე: ასე გაიტანეს თბილისელმა დინამოელებმა მოსკოველთა კარში პირველი და მესამე ბურთი; მატჩის ბოლო კადრი — ქართველი ფეხბურთელები ზეიმობენ გამარჯვებას.

ვლ. გინზბურგისა და გ. სანაიას ფოტო.

ტანვარჯიში

საერთაშორისო შეხვედრა

ბათუმი, 13 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). უნგრეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეჯიბრება სპორტულ ტახვარჯიში ტრადიციული გახდა — უკვე 15 წელია ეწყობა.

უნგრეთისა და საქართველოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა მორიგი შეხვედრა პირველად მიმდინარეობს აჭარის ასსრ დედაქალაქში. დღეს ბათუმის საბავშვო სპორტული სკოლის დარბაზში აღიმართა ამ შეჯიბრების ალაში.

უნგრეთის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ბათუმში ჩამოვიდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, მონრეალის ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი მართა ეგერვარი. საქართველოს ნაკრებია შემადგენლობაშია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რუსუდან სიხარულიძე.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდება.

მოკლედ

ჯოკეი. გუშინ პრაღაში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს გუნდების განმეორებითი მატჩი. ამჯერად გაიმარჯვეს საბჭოთა ჯოკეისტებმა — 6:3.

ამავე გუნდების მეორე შემადგენლობები გუშინ მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ჩვენმა ჯოკეისტებმა.

ფუტბალში. მოსკოველმა მეზღვაურებმა ვადამდე გაიმარჯვეს დედაქალაქში მიმდინარე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ჯგუფურ ნახევარფინალში და შეჯიბრების ფინალში გავიდნენ.

ფეხბურთი. კრივიო როგის „კრივბასმა“ დამატებით მატჩში სიმფეროპოლში დაამარცხა პიატიგორსკის „მაშუკი“ — 3:0 და გაისად პირველ ლიგაში ისაპარეზებს.

ვ. ჭარსლაძის მემორიალი

ყურადღება — ანიკაევი!

მეექვსე ტურში ყურადღების ცენტრში იყო დიდოსტატების კუზმინისა და გურგენიძის შეხვედრა. შუა თამაშში ქართველი მოკადრაკე შეცდა და ფიგურის დათმობა მოუხდა ორ პიაქში. დაწარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. კუზმინმა მეტოქე აიძულა გაეცალა ლაზიერები, შემდეგ კიდევ უფრო გაამარტივა მდგომარეობა და მოიგო.

ტური ტურს მიჰყვება და სავსებით ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდა ნოვოკუზნეცკელი ანიკაევი თბილისში მეტად სერიოზული ზრახვებით ჩამოვიდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეემეხვ შეხვედრამდე მას არ დაუკარგავს ხახეკარი ქულაც კი. ამჯერად იგი თეორიით ეთამაშებოდა ჩიქოვანს. მანვერულ ბრძოლაში ვერცერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობაა და ძეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ეს გახლდათ ანიკაევის პირველი „დათმობა“. ბოკუჩავა ძალიან არათანაბარად თამაშობს.

როგორღაც არ გამოდის თამაში დიდოსტატ ხოლოთს. ამჯერად იგი ყაიმზე შეუთანხმდა ჯანოევს. ახალგაზრდა მოკადრაკეს ზაინიკს აქამდე მოგება არ ჰქონია. და აი ბიხალმჩიშეხის წინააღმდეგ იგი შავებით ფრად ეხერგიულად იბრძოდა, დიდ მატერიალურ უპირატესობას მიაღწია და გაიმარჯვა. ლუტიკოვი და გელფანდი ნაკლებ საკმაოდ სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე — შექმნილი პოზიცია სრულიად თანაბარი იყო.

გუშინ დამთავრდა 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

გიორგაძემ მოიგო ანიკაევს და ყაიმზე შეუთანხმდა ჯანოევს. მეორე გადადებული პარტია ანიკაევმა ყაიმით დაამთავრა ბოკუჩავასთან. ზაინიკმა მოიგო ბოკუჩავასთან. ლერნერ-მიხალჩიშინის, ლუტიკოვ-კუზმინის, სტეფრუა-ჯანოევის, გელფანდი-ლერნერ-ძიქაძის, გურგენიძე-ბელავეის, ხოლმოვ-ზაინიკის პარტიები ყაიმით დასრულდა.

6 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ანიკაევი.

დღეს მორიგი მეშვიდე ტურია.

გ. გამრეკელი.

ჩვენი ქინოფაფეში

სიმაღლის შიში

კინორეჟისორ ალექსანდრე სურინის ფილმი „სიმაღლის შიში“ ახალგაზრდა ასპირანტის ცხოვრების ამბავია. მან სხვისი „ფრთებით“ ფრენა მოინდომა და დაიმსხვრა.. იგი დისერტაციის დაცვის დღეს დაიღუპა, როცა მისმა ნაშრომმა საკანდიდატო კი არა, სადოქტორო ხარისხი მოიპოვა. რა არის ეს, მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? ანდა ვისი იყო დისერტაცია?

ფილმი ოპერატორებმა იგორ გელეინმა და იური ნევსკიმ გადაიღეს. როლებში: ანატოლი პაპანოვი, ირინა მიროშნიჩენკო და ანდრეი მიაგკოვი. (მოსფილმი).

ჩვენი უბნელი ფიურერი

თეატრისა და კინოს ცნობილი რეჟისორის, ვლადიმერ ტადეის ფილმი „ჩვენი უბნელი ფიურერი“ იუგოსლავიური ფილმების პულეს ტრადიციული კინოფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელია.

ფილმი იუგოსლავიის ერთ-ერთ პატარა სოფელში ერთმანეთის მხარდამხარ ძმურად მცხოვრებ ადგილობრივი და გერმანული წარმოშობის მოსახლეობის ამბავს გვაცნობს. ომმა ამ კუთხესაც დაურღვია მყუდროება. დაირღვა წლობით განმტკიცებული მეგობრობა, მეზობელი მეზობელს გადაემტერა, მეგობარი — მეგობარს. განსაკუთრებით კი ლექსიმ „გამოიჩინა“ თავი...

სცენარი ფილმისათვის ვლადიმერ ტადეისა და ზონან პეტროვიჩს ეკუთვნით. როლებში: ნიკოლა სიმიჩი და ბორის დეჯორნიკი. (იუგოსლავია).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

14 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.00 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მეავიწყვლოთ რუსული ენა“, 11.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონებები“, 12.00 — „გაიკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოაფიშა“, 14.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 14.20 — „საუბარკა სკოლა“, 14.50 — ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თანამგზრობა“, 15.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.30— „კინოს მოყვარულთათვის“, 16.45 — რეგბი საბჭოთა კავშირის თასზე. მეორე ტაიმი. ფინალი. ტრანსლაცია „ლოკომოტივის“ სტადიონიდან, 17.25 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — მღერის ანსამბლი „ივერია“. ფერადი გამოსახულებით, 19.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35— ქართული დოკუმენტური ფილმი „მირზა გელოვანი“. პრემიერა, 20.50 — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“ (I მოქმედება), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“ (მეორე მოქმედება).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი, 19.35 — კონცერტი, 20.05 — დოკუმენტური ფილმების კროგრამა: „ოლიმპიადის ბანდები და სიხარული“, „ნადეჟდა“, 21.05 — მხატვრული ფილმი „მიწიერი სიყვარული“.

15 ნოემბერი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. ციხაძე. მერვე სიმფონიანი კვარტეტი, 11.45 — რადიოხარკვეული „მაცოცხლებელი მიწა...“, 12.15 — ა. დვორჟაკი. სლავური ცეკვები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გრ. ორბელიანის ლექსები, 12.30 — რუსული ხალხური სიმღერები. 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — უკრავს სიმტრადო ორკესტრი გ. გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, 13.16 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30— გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. კ. გამსახურდია — „ბაზის ყვავილობა“. რომანი. 14.20 — ვ. კალინიკოვი. პირველი